ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრისა და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრის

გიორგი ბირბიჩაძის

ანგარიში

წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. 2018 წლის ნოემბრიდან დღემდე ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის მაჟორიტარი წევრი (ვაკის რაიონი, ნუცუბიძის მიკრორაიონები, ვაჟა ფშაველას კვარტლები), ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრი, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია

მოგახსნებთ, რომ 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის პირველ ნოემბრამდე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად ორგანიზება გაუწია 17 კომისიის სხდომის ჩატარებას, კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 22 საკითხი, რომელზეც მომზადდა შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმები და დასკვნები წარმოდგენილ საკითხებთან/ინიციატივებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში კომისიაში შემოვიდა 164 განცხადება/წერილი, რომელზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება. მოქალაქეთა მიღებაზე კომისიაში გამოცხადდა 30 მოქალაქე, რომელთაც გაეწიათ შესაბამისი დახმარება ან ზეპირი/წერილობითი კონსულტაცია ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საკითხებთან დაკავშირებით.

წარმოგიდგენთ მონახაზს იმ საკითხებზე, რომლებზეც ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა და გასცა რეკომენდაციები.

შესწავლილი საკითხები:

<u>2018 წლის 20 ნოემბერი</u>

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა მიმართულებით განხორციელდა შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 191 030,7 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განისაზღვრა 48 377.6 ათასი ლარი, მათ შორის გათვალისწინებულია და გაგრძელდა ,,c" ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამები. გაზრდილი ოდენობებით არის წარმოდგენილი ქვეპროგრამები: ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება.

სოციალური დაცვის პროგრამებისთვის ჯამში გათვალისწინებულია 142 653,1 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში გრძელდება ქვეპროგრამები, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, შშმ პირთა საკურორტო მომსახურების პროგრამა, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, ხელოვნების სკოლებში და სპორტულ დაწესებულებებში, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში. პროგრამა საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მეტროთი და საბაგიროთი უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურებისათვის. სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების პროგრამა დაგეგმილია 13 727,0 ათასი ლარის ოდენობით, სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში 18 825,0 ათასი ლარი, მათ შორის, გლდანის რაიონში - 2 300,0 ათასი ლარი,

ნაძალადევის რაიონში - 2 600,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 1 800,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 1 600,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 1 625,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 2 200,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 1 200,0 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 1 500,0 ათასი ლარი. წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში - 750,0 ათასი ლარი. 2019 წელს გაგრძელდება ქვეპროგრამები, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და სხვა.

<u>2018 წლის 25 დეკემბერი</u>

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ, მ/წ 25 დეკემბრის სხდომაზე, სარევიზიო და ქონების მართვისა და საფინანსო - საბიუჯეტო კომისიებთან ერთად განიხილა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში შემცირდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების დაფინანსება (კოდი 06 01 01) 260,000 ათასი ლარით.

ასევე, მ/წ 25 დეკემბრის სხდომაზე, განიხილულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენიშვნების გათვალისწინებით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დაზუსტებული პროექტის თანახმად:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა გაიზარდა 1 223,9 ათასი ლარით და შეადგენს 192 254,6 ათას ლარს. უცვლელი დარჩა ჯანმრთელობის დაცვის

პროგრამა 48 377,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო სოციალური დაცვის პროგრამებიდან გაიზარდა უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში 1 723,9 ათასი ლარით და შეადგენს 18 511,8 ათას ლარს. თავდაპირველ წარდგენილ პროექტთან შედარებით გაიზარდა ბენეფიციართა კვების სავარაუდო ღირებულება 1,18-დან 1,30 ლარამდე, ნაწილობრივ კომუნალური სუბსიდირებისა და სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ქვეპროგრამების შემცირების ხარჯზე ჯამში 500,0 ათასი ლარით, ხოლო დანარჩენი ქვეპროგრამები დარჩა უცვლელი.

<u>2018 წლის 28 დეკემბერი</u>

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ, მ/წ 28 დეკემბრის სხდომაზე განიხილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

პროექტის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცდა **„დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“.** ცვლილება შევიდა აღნიშნული წესის მე-5 მუხლში, რომელიც ეხება მოსარგებლეების ჩართვას ქვეპროგრამაში. კერძოდ კი, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლითაც გაუქმდა ის საგამონაკლისო შემთხვევა, რომელიც გულისხმობდა ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში ქვეპროგრამის მიმწოდებელის ვალდებულებას, რომ მას საჭიროების შემთხვევაში უზრუნველეყო პაციენტის კონსულტირება ექიმ-სპეციალისტების და/ან ოჯახის ექიმების მიერ, გარდა აღნიშნული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურებისას.

ასევე შევიდა ცვლილება აღნიშნული წესის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტში, რომელიც ეხება მიმწოდებლის მიერ განმახორციელებლისათვის საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარდგენას. აქამდე მოქმედი რედაქციის თანახმად, მიმწოდებელი ვალდებული იყო ქვეპროგრამის განამხორციელებლისათვის წარედგინა საანგარიშგებო დოკუმენაცია მომსახურების მიწოდების დასრულების თვის მომდევნო 3 თვის განმავლობაში. წარმოდგენილი პროექტით კი კონკრეტდება, რომ მიმწოდებელმა დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს არაუგვიანეს თვის 10 რიცხვისა. ხოლო, აღნიშნული პერიოდის გასვლის

შემდგომ წარმოდგენილი შესრულება ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

ცვლილება შევიდა მე-7 მუხლის მე-5 პუნქტშიც, აქამდე მოქმედი რედაქციით შემთხვევა არ ექვემდებარებოდა ანაზღაურებას იმ შემთხვევაში, თუ ის საინფორმაციო პროგრამაში არ იქნებოდა დარეგისტრირებული, წარმოდგენილი პროექტით კი, ანაზღაურებისათვის ასევე აუცილებელია, რომ საინფორმაციო პროგრამაში სრულყოფილად იქნეს ასახული შესაბამისი მონაცემები.

პროექტით ასევე შეიცვალა მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების განმახორციელებელია 2018 წელს მიმწოდებლად რეგისტრირებული დაწესებულებები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ წესის ამოქმედებამდე მოქმედ რეგულაციებს, ნაცვლად მუშაობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილებისა.

ასევე შეიცვალა ამავე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც მიმწოდებელი/მისი კონტრაქტორი აღარ არის ვალდებული ქვეპროგრამის მეორე მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“, „ბ.გ“, „დ.გ“ და „ე.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ლაბორატორიულ კვლევების განხორციელების შესახებ შესაბამისი დოკუმენტი/სერტიფიკატი განმახორციელებელთან წარმოადგინოს პროგრამაში ჩართვიდან ზუსტად 3 თვის განმავლობაში.

ასევე ცვლილება შევიდა ამავე მუხლის მე-4 პუნქტში, რომელიც ადგენს მიმწოდებლის ვალდებულებებს, კერძოს გაუქმდა „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი მიმწოდებლის ვალდებულება, რომ რეგისტრაციისას წერილობით დააფიქსიროს ბენეფიციარების სავარაუდო რაოდენობა, რომელთა მომსახურებასაც უზრუნველყოფს ერთი წლის განმავლობაში. თუმცა, ამავე ქვეპუნქტით დადგინდა, რომ მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ერთი წლის განმავლობაში მომსახურება გაუწიოს სულ მცირე 50 (ორმოცდაათი) ბენეფიციარს. ხოლო „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ყოველთვიურად მომსახურება გაუწიოს არაუმეტეს 100 მოსარგებლისა,გარდა მე-7 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის შემმოწმებელი დაწესებულებისა.

პროექტის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცდა **„გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“**, რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი (კოდი: 06 01 03)“ (შემდგომში – ქვეპროგრამა) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. ქვეპროგრამის მოსარგებელეები არიან

საქართველოს მოქალაქეები, ასევე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები. აღნიშნული ქვეპროგრამა ფინანსდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი (კოდი: 06 01 03)“ ასიგნებების ფარგლებში. წარმოდგენილი პროექტით არ იგეგმება აღნიშნულ წესში ცვლილებების შეტანა.

პროექტის პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცდა **„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“**. ცვლილება შედის აღნიშნული წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში, რითიც დადგინდა ის თუ, რომელი ფორმით უნდა მოახდინოს 6 თვეში ერთხელ მიმწოდეელმა ანგარიშის წარდგენა, დაკონკრეტდა, რომ მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს 6 თვეში ერთხელ ქვეპროგრამის მოსარგებლისათვის გაწეული თერაპიის შედეგების შეფასება/გადაფასება საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიების გამოყენებით (მ.შ. ABLLS-R, VB-MAPP და სხვა.) და საქართველოს ქცევის ანალიტიკოსთა ასოციაციის მიერ დამტკიცებული ანგარიშების სტანდარტიზებული ფორმის მიხედვით ანგარიშის ელექტრონული სახით წარდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურში, აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდგომ 2 თვის განმავლობაში.

პროექტის პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტით დამტკიცდა **„C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“**. აღნიშნული პროექტით ცვლილება შედის წესის მე-7 მუხლში, რომელიც ეხება მომსახურების დასახელებასა და ღირებულებას. კერძოდ, წარმოდგენილი რედაქციით გაუქმებულია ცხრილი, რომელიც შეეხებოდა 2016 წლის 10 ივნისამდე დაწყებული კვლევების შემთხვევაში დიაგნოსტიკური კვლევების ღირებულებას, გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსმა პაციენტებმა უკვე მიიღეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება.

პროექტის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცდა **„ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“.** წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შევიდა, წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში, კერძოდ , აღნიშნული პუნქტი ეხება ამ წესის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლისათვის დადგენილ დამატებით პირობებს. წარმოდგენილი რედაქციით უქმდება „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით დადგინდა წინაპირობები, ხოლო ცვლილება შევიდა „დ“ ქვეპუნქტში, რითიც კონკრეტდება, რომ მიმწოდებელს აქვს ვალდებულება უზრუნველყოს მომსახურების განხორციელება სპეციალისტის მეშვეობით, რომელსაც წარმატებით აქვს ჩატარებული აღნიშნული მომსახურება მინიმუმ 5-ჯერ საქართველოში.

პროექტის პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით დამტკიცდა **„ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“.** ცვლილება შევიდა აღნიშნული წესის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში, კერძოდ აღნიშნული ქვეპროგრამით მოსარგებლეები შეიძლება იყვნენ ის პირებიც, რომლებსაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე 2 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში.

წარმოდგენილი პროექტით ასევე შევიდა ცვლილება ამავე მუხლის მე-2 პუნქტში, რომელიც ეხება ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობას ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი ტარიფების ფარგლებში და მოიცავს იმ მედიკამენტთა ჩამონათვალს, რომლის დაფინანსებაც უზრუნველყოფს აღნიშნული ქვეპროგრამა. კონკრეტულად კი, ადრე მოქმედი რედაქციის თანახმად, HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ძუძუს კიბოს დიაგნოზის ან რადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო პრეპარატი „ტრასტუზუმაბი“ , ხოლო წარმოდგენილი რედქციის თანახმად, ჰორმონუარყოფითი და დადებითი ნოდალური სტატუსის შემთხვევაში, 2019 წლის 1 იანვრიდან ჩართულ მოსარგებლეებს დაუფინანსდებათ პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი .

ასევე შევიდა ცვლილება ამავე წესის მე-4 მუხლში, რომელიც ეხება დაფინანსების მეთოდოლოგიასა და დაფინანსების წესს. კერძოდ აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით: მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტი „ტრასტუზუმაბი“ მოსარგებლეებს გადასხმის სქემიდან გამომდინარე, უფინანსდებათ ნაცვლად მაქსიმუმ ერთწლიანი კურსისა, მაქსიმუმ 18 კურსი (პირველი ინფუზიის 8მგ/კგ სქემით დაწყების, ხოლო ყოველი მომდევნო ინფუზიის 6მგ/კგ სქემით გაგრძელების შემთხვევაში), 27 (პირველი ინფუზიის 4მგ/კგ სქემით დაწყების, მომდევნო 11 ინფუზიის 2მგ/კგ სქემით, ხოლო დანარჩენი 15 ინფუზიის 6მგ/კგ სქემით გაგრძელების შემთხვევაში), ან 52 (პირველი ინფუზიის 4მგ/კგ სქემით დაწყებისა, ხოლო ყოველი მომდევნო ინფუზიის 2მგ/კგ სქემით გაგრძელების შემთხვევაში) ინფუზიის მოცულობით, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“და „ბ“ ქვეპუნტით გათვალისწინებული მედიკამენტები „პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი“, მოსარგებლეებს უფინანსდებათ მაქსიმუმ 12 ინფუზიის მოცულობით.

ასევე შევიდა ცვლილება აღნიშნული წესის მე-5 მუხლში, რომელიც ეხება მოსარგებლეთა ჩართვას ქვეპროგრამაში და ვაუჩერის გაუქმებას. კერძოდ, წარმოდგენილი

პროექტით აღნიშნული მუხლის 1-ლი პუნქტი ეხება ქვეპროგრამაში ჩასართავად და მატერიალიზებული ვაუჩერის მისაღებად მოსარგებლე პირის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციას, კერძოდ, "გ" ქვეპუნქტში ემატება ჩანაწერი, რომ კონსილიუმის დასკვნა აუცილებელია იყოს დამოწმებული შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ 3 ლიცენზირებული ექიმის, მ. შ. ფორმა №IV-100/ა-ს გამცემი ექიმის ხელმოწერითა და ბეჭდით, ხოლო „დ" ქვეპუნქტის თანახმად, HER-2 დადებითი ძუძუს კიბოს სადიაგნოსტიკო კვლევების (იმუნოჰისტოქიმიური კვლევა, ხოლო იმუნოჰისტოქიმიით +2 ქულის შემთხვევაში, ასევე in situ ჰიბრიდიზაციის მეთოდით კვლევა (ფლუოროსცენტული (FISH) ან ქრომოგენული (CISH)) დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შევიდა წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტში, კერძოდ, აქამდე მოქმედი რედაქციის თანახმად , ყველა შემდგომი მატერიალიზებული ვაუჩერის მისაღებას მოსარგებლეს ქვეპროგრამის განმახორციელებლისთვის უნდა მიემართა განცხაებით, რომლისთვისაც უნდა დაერთო მედიკამენტით მკურნალობის განმახორციელებელი ექიმის მიერ პირადი ხელმოწერითა და სამკურნალო დაწესებულების ბეჭდით დადასტურებული საბუთი, ხოლო წარმოდგენილი პროექტით აღნიშნულ დოკუმენტაციას დაემატა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გაცემული ცნობა (ფორმა №IV-100/ა) და კალკულაცია მიმწოდებელი ორგანიზაციიდან .

პროექტში ასევე ამოღებულია ამავე მუხლის მე-8 პუნქტი, რომლის თანახმადაც მატერიალიზებულ ვაუჩერს ვადა შეიძლება გაუგრძელდეს წელიწადში არაუმეტეს ორჯერ.

ცვლილება შევიდა მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ" ქვეპუნქტში, ადრე მოქმედი რედაქციის თანახმად, „ტრასტუზუმაბის" რაოდენობა დამოკიდებული იყო მოსარგებლის წონაზე, რაც წარმოდგენილ რედაქციაში აღარ გვხვდება, გარდა ამისა იცვლება „ტრასტუზუმაბის" მიწოდების ტარიფი, ნაცვლად 7125 ლარისა დგინდება 4995 ლარიანი ტარიფი.

პროექტის პირველი მუხლის „ზ" ქვეპუნქტით დამტკიცდა **„ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესი"** . ცვლილება შევიდა აღნიშნული წესის მე-3 მუხლში, სადაც ტერმინი ფსიქიკური კრიზისული ხანმოკლე ინტერვენცია კორექტირდება ტერმინით „მულტისისტემური ინტერვენცია". ამოღებულია ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ" ქვეპუნქტი, რომელიც გულისხმობდა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ პირის შეფასებისა და ინტერვენციის გეგმის ცვლილების შემთხვევაში კორექტირებული ინტერვენციის გეგმის წარდგენას არაუგვიანეს

შეცვლილი ინტერვენციის გეგმის თვის წინა თვის 25 რიცხვისა. ასევე იშეიცვალა მულტიდისციპლინური გუნდის სოციალური მუშაკის მიერ მოსარგებლის მონიტორინგის წესი, კერძოდ აქამდე მოქმედი რედაქციით მონიტორინგი ტარდებოდა ბინაზე ან/და სასწავლო დაწესებულებაში, ხოლო წარმოდგენილი რედაქციით მონიტორინგი ასევე შესაძლებელია განხორციელდეს ამბულატორიულადაც.

ასევე შევიდა ცვლილება წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტში , რომელიც მიმწოდებლისათვის დამატებით პირობად ადგენდა მულტიდისციპლინური გუნდის ყოლას ყოველ 30 მოსარგებლეზე, წარმოდგენილი რედაქციით კი, მსგავსი შეზღუდვა აღარ არის დაწესებული. ამავე პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტში შესული ცვლილებით კი, დაზუსტდა ქვეპროგრამის მოსარგებლეების რაოდენობა და შესაბამის სპეციალისტთა რაოდენობრივი შეფარდება. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ.ა“, „ა.ბ.ბ.“, „ა.ბ.გ“ და „ა.ბ.დ“ ქვეპუნქტებში განხორციელებული ცვლილებით ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრი-ფსიქოთერაპევტის მიმართ დადგინდა კიდევ ერთი ალტერნატიული კრიტერიუმი - მას შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს დიალექტიკურ-ბიჰევიორული თერაპიის სასწავლო საერთაშორისო ან/და ადგილობრივი კურსი.

პროექტის მე-2 მუხლით ძალადაკარგულად გამოცხადდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N8-22 დადგენილება.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი სახის შენიშვნები:

პროექტის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“-ს მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებსაც აქვთ მწვავე ლეიკემია, მწვავე ლიმფოიდური ლეიკემია, მწვავე მიელოიდური ლეიკემია, ქრონიკული მიელოიდური ლეიკემია, იუვენური მიელომონოციტარული ლეიკემია, არაჰოჯკინის ლიმფომა, ჰოჯკინის ლიმფომა, მიელოდისპლაზიური სინდრომი, აპლაზიური

ანემია, ჰისტიოციტოზი, თალასემია, მრავლობითი მიელომა (მიელომური ავადმყოფობა) შემდეგი მომსახურებების დაფინანსება.

ბ) ღვიძლის ტრანსპლატაციის საჭიროების მქონე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსება საქართველოში.“

„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“-ს მე-9 მუხლის (მიმწოდებლისთვის დადგენილი დამატებითი პირობები) „დ“ ქვეპუნქტში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი აღნიშნული ჩანაწერი: „ქვეპროგრამაში 2019 წლის 1 იანვრამდე უკვე იყო რეგისტრირებული“ - უნდა შეიცვალოს შემდეგი ჩანაწერით: „ქვეპროგრამაში 2018 წლის 1 მაისიდან უკვე იყო რეგისტრირებული“.

ასევე, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ, მ/წ 28 დეკემბრის სხდომაზე განიხილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

პროექტის პირველი მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცდა **„სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების“ (კოდი: 06 02 25) განხორციელების წესი”,** რითიც შეიცვალა აქამდე არსებული დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ქვეპროგრამების დასახელება და მოცულობა, კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გათვალისწინებით, გაერთიანდა ორი ქვეპროგრამა - ერთი მხრივ „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების“ , ხოლო მეორე მხრივ „სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატრეალური დახმარების“ ქვეპროგრამა .

პროექტის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტით დამტკიცდა **„100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 05) განხორციელების წესი“**, რომლითაც განისაზღვრა ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა და ანგარიშგების პირობები. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და მეტი ასაკის პირები, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტირებული 100 წლის და მეტი ასაკის იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც

დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი. ფულადი დახმარება განისაზღვრება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

პროექტის პირველი მუხლის „გ“ პუნქტით დამტკიცდა **„სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 02) განხორციელების წესი”,** კერძოდ ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა, ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები და ანგარიშგების ფორმა. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000–ს და აღნიშნული ბაზის მიხედვით ოჯახში ფიქსირდება 3 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი. ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარების მიმღებია ოჯახი. ყოველ 18 წლამდე ბავშვზე, ყოველთვიურად გაიცემა ფულადი დახმარება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ცვლილება შევიდა ასევე ამავე წესის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში, რომელიც ეხება ოჯახის მიერ კონკრეტულ თვეში თანხის მიღების უფლების მოპოვებას, რაც გარდა სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციისა ასევე ეყრდნობოდა მომსახურე ბანკის მეირ წარმოდგენილ ინფორმაციას ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელზე არსებული აქტიური (გატანილი) საბანკო ბარათის შესახებ. აღნიშნული რედაქციით, კი თანხის კონკრეტულ თვეში მიღების უფლება აღარ არის დაკავშირებული გატანილ საბანკო ბარათთან, ოჯახი მიიღებს შესაბამისს თანხას დახმარების გაცემის წინა თვის მდგომარეობის ამსახველი ბაზის მიხედვით.

პროექტის პირველი მუხლის „დ“ პუნქტით დამტკიცდა **„სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების (კოდი: 06 02 22) და სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების“ (კოდი: 06 02 24) ქვეპროგრამების განხორციელების წესი”,** რომლითაც განისაზღვრა ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა, ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები და ანგარიშგების ფორმა. დახმარების მისაღებად მომსახურე ბანკის მიერ მოწოდებულ მონაცემებში, დახმარების გადარიცხვის მომენტისათვის უნდა ფიქსირდებოდეს, დახმარების მიმღები პირის სახელზე აქტიური (გატანილი) საბანკო ბარათი. ასევე, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, 2018 წლის კუთვნილი ფულადი დახმარება შესაძლებელია გაიცეს 2019 წელს მოქმედი წესის შესაბამისად 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში იმ

პირთათვის, რომლებიც განცხადებას წარმოადგენენ 2018 წლის 10 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, ასევე იმ მოსარგებლეებისათვის რომლებზეც ბარათის გატანის შესახებ ინფორმაცია მომსახურე ბანკიდან მიღებული იქნება 2019 წლის 10 მარტამდე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური მომსახურე ბანკიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ყოველი თვის 20 რიცხვამდე ადგენს თანხის მიმღები პირებისათვის დახმარების გადარიცხვის რეესტრს და წარუდგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი თანხების ჩარიცხვას საბანკო ანგარიშებზე.

პროექტის პირველი მუხლის „ე“ პუნქტით დამტკიცდა **„უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“ (კოდი: 06 02 06 01) და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“ (კოდი: 06 02 06 02) ქვეპოგრამების განხორციელების წესი“,** კერძოდ ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები და ანგარიშგების ფორმა. ამასთან, პროექტით გათვალისწინებულია ბენეფიციარისათვის მომსახურების მიწოდების შემოწმების, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებისა და ანაზღაურების წესი, ცხრილის სახით თანდართულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის მოსწავლეთა თვიური ლიმიტის ოდენობები.

პროექტის პირველი მუხლის „ვ“ პუნქტით დამტკიცდა **„უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში” (კოდი: 06 02 06 03) ქვეპროგრამის ფარგლებში „სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების ღირებულების ანაზღაურების წესი“,** რომლითაც განისაზღვრა ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, მოსარგებლეების ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები, ვაუჩერის პირობები, ანაზღაურება და ანგარიშგების წესი. ამასთან პროექტით გათვალისწინებულია ბენეფიციარისათვის მომსახურების მიწოდების შემოწმების, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებისა და ანაზღაურების წესი. განსაზღვრულია მიმწოდებლის დამატებითი კრიტერიუმები. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, მომსახურების ხანგრძლივობა (3 თვე) შესაძლებელია გაგრძელდეს სამედიცინო დოკუმენტაციაში (ფორმა №IV-100/ა) მითითებული საჭიროების საფუძველზე, დამატებით ერთი ვადით (3 თვე), მხოლოდ ერთჯერადად. მომსახურების უწყვეტობის მიზნით, 2018 წელს მიმწოდებლად რეგისტრირებულ პირს/ორგანიზაციას

აღნიშნული სტატუსი ავტომატურად უგრძელდება 2019 წელს, თუმცა კრიტერიუმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ექვემდებარება გადამოწმებას.

პროექტის პირველი მუხლის „ზ“ პუნქტით დამტკიცდა **„შინმოვლის თანადაფინანსების“ (კოდი: 06 02 26) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“,** რომლითაც განისაზღვრა ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, მოსარგებლეების ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები, ანგარიშგების წესი. ამასთან, პროექტით გათვალისწინებულია ბენეფიციარისათვის მომსახურების მიწოდების შემოწმების, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებისა და შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების წესი. პროექტით გათვალისწინებულია მიმწოდებლის დამატებითი კრიტერიუმები, ბართელის კითხვარი და თანხმობის ბარათის ფორმა. ამასთან უწყვეტობის მიზნით, 2018 წელს მიმწოდებლად რეგისტრირებულ პირს/ორგანიზაციას აღნიშნული სტატუსი ავტომატურად უგრძელდება 2019 წელს, თუმცა კრიტერიუმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ექვემდებარება გადამოწმებას.

პროექტი მიზნად ისახავს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-21 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების ახალი რედაქციით დამტკიცებას.

<u>2019 წლის 29 იანვარი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2018 წლის შედეგების განხილვა.

მომხსენებელმა გელა ჩივიაშვილმა წარმოადგინა საანგარიშო პერიოდის (2018 წელი) ანგარიში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების ფარგლებში:

დაავადებათა სკრინინგი (06 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში კიბოს ადრეული გამოვლენის მიზნით, ქ. თბილისში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს (მ.შ. იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთაც სსიპ – ,სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზაში რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი) უტარდებათ შემდეგი სახის სკრინინგული გამოკვლევები:

- ✓ ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ასაკის ქალებში;
- ✓ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ასაკის ქალებში;
- ✓ პროსტატის კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ასაკის მამაკაცებში;
- ✓ კოლორექტალური კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ორივე სქესისათვის;
- ✓ ფარისებრი ჯირკვლის კიბოს გამოკვლევები 25-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში (პილოტური პროგრამა ამოქმედდა 2018 წლის პირველი იანვრიდან)

დაავადებათა სკრინინგის პროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია 50 281 პირს

გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამა (06 01 03)

2018-2019 წლის გრიპის სეზონი დაიწყო 1 ოქტომბრიდან და 31 დეკემბრის ჩათვლით დარეგისტრირდა გრიპისა და გრიპის მსგავსი დაავადებების **45 578** ამბულატორიული და **2 753** ჰოსპიტალური შემთხვევა.

ზემოაღნიშნულ თვეებში განხორციელდა ვაქცინების მიღება, შენახვა და გაცემა იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე დაწესებულებებში, ასევე აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა ცხოველთა მიერ დაზარალებული მოსახლეობის ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის ღონისძიებები, მგბ+ ავადმყოფებთან, ეპიდანამნეზის შემდეგ, კონტაქტში მყოფი პირების გამოვლენა და მათი მიმართვა შესაბამის ფტიზიატრიულ სამსახურში, ტუბერკულოზით დაავადებულ ყოფილ პატიმრებზე ეპიდგამოკვლევა. აღირიცხა და შესწავლილ იქნა ტეტანუსის 2 შემთხვევა (28 და 82 წელი).

„გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის დაფინანსების პროგრამის“ ფარგლებში 30 082 შემთხვევა დაფიქსირდა;

„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამის“ მოსარგებლე ბავშვთა რაოდენობა წლის ბოლოსთვის იყო 840 ბავშვი;

„C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის პროგრამით“ ისარგებლა 3 647–მა პაციენტმა, აქედან დიაგნოსტიკური გამოკვლევა ჩაუტარდა 568–ს, ხოლო მონიტორინგი – 3 079–ს

2018 წელს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებს დაემატა 2 კომპონენტი:

გაფართოვდა „ტრანსპლანტაციის“ პროგრამა. ღვიძლის გადანერგვის საჭიროების მქონე პაციენტებისთვის ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსება დაიწყო. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში გაიცემა ვაუჩერი, რომლის ღირებულება შეადგენს 60 000 ლარს. მომსახურების მიმწოდებლად **რეგისტრირებულია 2 დაწესებულება და დაფინანსებულია 7 პაციენტი.**

გაფართოვდა „დაავადებათა სკრინინგის“ პროგრამა. ფარისებრი ჯირკვლის კიბოს რისკის მქონე ქალებისთვის ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის კომპონენტის განხორციელება დაიწყო. პროგრამის ფარგლებში, 25-70 წლის ქალებში ფინანსდება ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერითი გამოკვლევა, სისხლში თირეოტროპული ჰორმონის გამოკვლევა, ენდოკრინოლოგის კონსულტაცია და საჭიროების შემთხვევაში, ციტოლოგიური კვლევა. პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწია **29 237 პირს.**

„ტრანსპლანტაციის“ პროგრამის ფარგლებში 70 პაციენტი დაფინანსდა

<u>სოციალური დაცვა (06 02)</u>

კომუნალური სუბსიდირება (06 02 01)

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ქალაქ თბილისში 200 001-მდე სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახებისათვის/აბონენტებისთვის, მონაცემთა ერთიან ბაზაში მითითებულ აბონენტის ნომერზე, რომელიც კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით წარმოადგენდა სამომხმარებლო სექტორის აბონენტს, განხორციელდა ელექტროენერგიის გადასახადზე, წყლის და დასუფთავების მოსაკრებელზე სუბსიდიის დარიცხვა. სუბსიდიის გაცემა განხორციელდა წლის მანძილზე 5-ჯერადად, კერძოდ: იანვარში, თებერვლაში, მარტში, ნოემბერში და დეკემბერში.

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (06 02 02)

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში ყოველთვიური მატერიალური დახმარება 50 ლარის ოდენობით გაეწია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ (ოჯახის სარეიტინგო ქულა 70 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ მრავალშვილიან ოჯახებს 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე. საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია საშუალოდ 4 167 ოჯახს თვეში, საშუალოდ 14 312 ბავშვზე.

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის „ახალშობილთა“ ერთჯერადი მატერიალური დახმარება (06 02 03)

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარება გაეწია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტოს სოციალური მომსაურების სააგენტოს ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ (ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ 425 ოჯახს: მე-3 შვილის შეძენის შემთხვევაში - 800 ლარი, მე-4 შვილის შეძენისას 1 000 ლარი, ხოლო მე-5 და მეტი შვილის შეძენის შემთხვევაში 1 500 ლარი. მათ შორის: 233 ოჯახს გაეწია ფინანსური

დახმარება მე-3 შვილის შეძენისათვის, 126 ოჯახს - მე-4 შვილის, ხოლო 66 ოჯახს მე-5 და მეტი შვილის შეძენისათვის.

100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება (06 02 05)

საქალაქო სამსახურში შემოვიდა100 წელს მიღწეული მოქალაქეთა 27 განცხადება, თითოეული მოქალაქის პირად ანგარიშზე ჩაერიცხა 1 000 ლარი, როგორც პროგრამის ფარგლებშია განსაზღვრული.

,,სერვის ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია)" (06 02 06 04)

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქ. თბილისის საჯარო და სახელოვნებო სკოლების, საბავშვო ბაღების პედაგოგების და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მეტროთი და ავტო-ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობით სარგებლობის 57614 ერთეული პლასტიკური ბარათის შესაბამის ბენეფიციარებზე გაცემა, მგზავრობით სარგებლობის უკონტაქტო პლასტიკური ბარათების გაცემის სერვის-ცენტრში არსებული საბეჭდი მოწყობილობებსისათვის კარტრიჯებისა და საწმენდი მასალების შეძენა საერთო თანხით 1780 ლარის, ამავე საბეჭდი მოწყობილობის სათადარიგო ნაწილების შესყიდვა და მონტაჟი თანხით 453 ლარის, სერვის-ცენტრისთვის შეძენილი იქნა ვებ-კამერები საერთო თანხით 400 ლარი, პლასტიკური ბარათების გაცემის სერვის-ცენტრში დასაქმებულ შტატგარეშე მომსამსახურეებზე ხელფასის გაცემა საერთო თანხით 60 000 ლარის, ანაზღაურებული იქნა სამგზავრო ბარათების ინიციალიზაციის მომსახურება საერთო თანხით 41307 ლარის და კომუნალური ხარჯის ანაზღაურება 232,6 ლარის ოდენობით.

სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (06 02 09)

საანგარიშო პერიოდში ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის ასევე იმ მოქალაქეებისათვის, რომლებსაც ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი გააჩნიათ თბილისში და რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სოციალური დახმარებისა და სხვა სერვისების ხელმისაწვდომობის განხორციელების

ხელშეწყობის კომისიის“ თანახმად ძირითადი მოთხოვნა დაფიქსირდა მედიკამენტების, ოპერაციული მკურნალობის და სხვა სამედიცინო მომსახურებების დაფინანსებაზე. სულ გადარიცხულია 12 719 822 ლარი. აქედან 1 875 064 ლარით დაფინანსდა 3 477 ბენეფიციარის მედიკამენტებით უზრუნველყოფა, 6 255 830 ლარით 6 327 ბენეფიციარის ოპერაციული მკურნალობა და 4 588 928 ლარით 5 864 ბენეფიციარის სხვა სამედიცინო მომსახურებები.

ომის ვეტერანთა დახმარება (06 02 10)

საანგარიშო პერიოდში „ომის ვეტერანთა დახმარება“ მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ამ ომში მარჩენალდაკარგულების 9 მაისის დღესასწაულის აღსანიშნავად ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით, სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან“ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ქ.თბილისში რეგისტრირებული, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ამ ომში მარჩენალდაკარგულის სტატუსის მქონე პირების თაობაზე.

მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, შესაბამისი სტატუსის მქონე პირებისათვის გადარიცხულ იქნა შემდეგი თანხები: 1. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 224 ბენეფიციარს გადაერიცხა 600 ლარი, სულ 134 400 ლარი, 2. ამ ომში მარჩენალ დაკარგულის სტატუსის მქონე 68 ბენეფიციარს 300 ლარი, სულ 20 400 ლარი.

,, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შშმ ბავშვების დახმარების პროგრამა“ (06 02 22)

საანგარიშო პერიოდში სოციალურად დაუცველი 0-150 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე 18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვისათვის ოჯახის უფლებამოსილი პირის სახელზე განხორციელდა მაისის და დეკემბრის თვეების კუთვნილი ფულადი დახმარების დარიცხვა 400-400 ლარის ოდენობით. მაისის თვის კუთვნილი 400 ლარი მიიღო 885 შშმ ბავშვმა, ხოლო დეკემბრისა კი-864 შშმ ბავშვმა. ასევე 222 ბავშვისათვის გაიცა 2017 წლის კუთვნილი დახმარებაც 400 ლარის ოდენობით.

,, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების პროგრამა“ (06 02 24)

საანგარიშო პერიოდში `სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 150 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტირებულ მკვეთრად

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირთათვის განხორციელდა მაისის, აგვისტოს და დეკემბრის თვეების კუთვნილი ფულადი დახმარების დარიცხვა, თვეში 300 ლარის ოდენობით. მაისის თვის კუთვნილი დახმარება მიიღო 605 უსინათლო პირმა, აგვისტოს თვის-607-მა, ხოლო დეკემბრისა კი-592 უსინათლო პირმა. ასევე 28 ბენეფიციარისთვის გაიცა 2017 წლის კუთვნილი დახმარებაც 300 ლარის ოდენობით.

სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (06 02 25)

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარება გაეწია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტოს სოციალური მომსაურების სააგენტოს ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ (ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ 697 ოჯახს, რომელთაც შეეძინათ ახალშობილი.

შინმოვლის თანადაფინანსება (06 02 26)

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ხორციელდებოდა ,,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200 000 და ქვევით სარეიტონგო ქულით რეგისტრირებული თბილისში მცხოვრები ოჯახებისათვის მარტოხელა, საწოლსმიჯაჭვული პირების (ბართელის უძლურების შეფასების ინდექსი ≤95) დახმარება - შინმოვლა. საანგარიშო პერიოდში განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ანგარიშის საფუძველზე ანაზღაურებული იქნა საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოს ღირებულება: ,,დიაკვნის ევანგელურ ლუთერული საზოგადოებისათვის“ – 27591.37 ლარი, ,,საქართველოს კარიტასისათვის“ – 160968.85 ,,ჩერნოვეცკის ფონდისათვის“- 190626.74 პროგრამაში ჩართული პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის - 13248.00 ლარი.

შეზღუდულ შესაძლებლობათა მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (06 02 28)

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში შტატგარეშე მოსამსახურეთა ხელფასის ანაზღაურებამ შეადგინა **36 813.63 ლარი.** დამატებით საანგარიშო პერიოდში ხარჯები გაწეულია: 18 წლის ასაკის ზემოთ ქალაქ თბილისში მცხოვრები შშმ პირებისათვის,

რომლებიც სარგებლობენ დღის ცენტრების (10 დღის ცენტრი) მომსახურებით, მომსახურების 25% დაფინანსება; ა(ა)ი.პ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი - **4601.5 ლარი**; ა(ა)ი.პ კავშირი ია - **2497 ლარი;** ა(ა)ი.პ ასოციაცია ანიკა - **7548.75 ლარი;** ა(ა)ი.პ ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება - **5 338 ლარი;** ა(ა)ი.პ კავშირი ადამიანები განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ - **16 016 ლარი;** ა(ა)ი.პ მშობელთა ხიდი - **6 234.25 ლარი;** ა(ა)ი.პ საქართველოს ყრუთა კავშირი - **869 ლარი;** ა(ა)ი.პ სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვების დახმარების ასოციაცია - **1 842.5 ლარი;** ა(ა)ი.პ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობისა ასოციაცია - **6 954.75 ლარი,** ა(ა)ი.პ რეაბილიტაციის ცენტრი აისი - **7 526.75 ლარი**;

<u>2019 წლის 12 თებერვალი</u>

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ''.

წარმოდგენილი პროექტით ჩამოყალიბდა **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილების** პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ (დანართი №3) მე-4 მუხლი. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ქვეპროგრამის ფარგლებში თვეში დასაფინანსებელ ბენეფიციართა რაოდენობა განისაზღვრებოდა არაუმეტეს 850 (რვაას ორმოცდაათი) ბენეფიციარით, ხოლო წარმოდგენილი პროექტით ბენეფიციართა რაოდენობა იგაიზარდა 1000 (ათასი) ბენეფიციარამდე.

ასევე დამტკიცდა **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი**“. ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესით დარეგულირებული საკითხების უკეთ აღქმის მიზნით, წესს დაემატა მე-2 მუხლი, სადაც განმარტებულია წესში გამოყენებული ტერმინები.

აღნიშნული პროექტით წესი ჩამოყალიბდა განსხვავებული სტრუქტურით, კერძოდ ცალ-ცალკე მუხლებში წესრიგდება ერთი მხრივ, უსახლკარო პირად რეგისტრაციისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის პროცედურა, ასევე შესაბამისი კრიტერიუმები და მეორე მხრივ, უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციისა და საცხოვრისით უზრუნველყოფის პროცედურა, ასევე შესაბამისი კრიტერიუმები .

წესის მე-3 მუხლში მოცემულია უსახლკარო პირად რეგისტრაციისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის კრიტერიუმები, კერძოდ, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უსახლკარო სტატუსის მაძიებელი პირის უსახლკაროდ რეგისტრაციისათვის სავალდებულოა, რომ კომისიის მიერ მის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში პირი იყოს საქართველოს მოქალაქე, უწყვეტად და ამავდროულად, უსახლკარო პირის სტატუსის მინიჭების მომენტისათვის რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ასევე „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირის უსახლკაროდ რეგისტრაციისათვის აუცილებელია, რომ ის იყოს სრულწლოვანი.

წესის მე-4 მუხლით განისაზღვრა უსახლკარო პირად რეგისტრაციისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის პროცედურა, ასევე მოცემულია იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელთა წარმოდგენაც აუცილებელია უსახლკაროდ რეგისტრაციისათვის.

პირის უსახლკაროდ რეგისტრაცია ასევე უკავშირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, პირს არ გააჩნია საკუთრებაში ავტომობილი, ხოლო ავტომობილზე საკუთრების არსებობის შემთხვევაში, კომისიის მხრიდან გადაწყვეტილება მიიღება ავტომობილის მარკის, გამოშვების წლისა და მოდელის გათვალისწინებით .

უსახლკაროდ რეგისტრაციისათვის აუცილებლად დასაკმაყოფილებელ კრიტერიუმს დაემატა პირის/ოჯახის თითოეული უმუშევარი წევრის რეგისტრაცია სამუშაოს მაძიებლად შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე - www.worknet.gov.ge, ხოლო პირის/ ოჯახის უმუშევარი წევრის მიერ ამ პროფილის გაუქმება წარმოადგენს უსახლკაროდ რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს.

უსახლკარო პირად/ოჯახად რეგისტრაციის კრიტერიუმებში დაკონკრეტდა პირის/ ოჯახის წევრების საცხოვრებელ სადგომზე უფლების არ ქონის კრიტერიუმები, კერძოდ უსახლკაროდ რეგისტრაციისათვის არ უნდა ფიქსირდებოდეს პირის/ოჯახის არცერთი წევრის მიმართ არამხოლოდ მართლზომიერი მფლობელობის, არამედ უსასყიდლოდ სარგებლობის ფაქტიც, ასევე უსახლკაროდ რეგისტრაციისათვის აუცილებელია, რომ კომისიის მიერ მოპოვებული ინფორმაციით არ დასტურდებოდეს პირის/ ოჯახის მხრიდან დამოუკიდებლად ბინის ქირის გადახდის ფაქტი.

კონკრეტდება პირის/ ოჯახის წევრების შემოსავლების დაანგარიშების სისტემა და დადგინდა ის საანგარიშო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მიღებული შემოსავალი მიიღება საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში, ასეთ პერიოდად განისაზღვრა საკითხის კომისიის სხდომაზე გატანამდე 6 თვე. ასევე, უსახლკარო სტატუსის მაძიებელი ოჯახის წევრების შემოსავლების დაანგარიშების საკითხში, აქამდე მოქმედ რედაქციაში არსებული მითითება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-23 დადგენილებაზე, ჩანაცვლდა ამავე დადგენილების ზოგადი დებულების შინაარსით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მოწოდებული ინფორმაციით უსახლკარო სტატუსის მაძიებელი პირის/ოჯახის წევრთა მიერ, უსახლკაროდ რეგისტრაციისათვის დასაშვები სახელმწიფო საზღვრის კვეთა შემცირდა საზღვრის 2-ჯერ გადაკვეთამდე და დაზუსტდა, რომ მხედველობაში მიიღება მხოლოდ სახელმწიფო ტერიტორიის დატოვების ფაქტები, ასევე დაწესდა გამონაკლისი და განისაზღვრა, რომ საზღვრის 2-ზე მეტჯერ გადაკვეთა არ მიიღება მხედველობაში თუ, ეს განპირობებული იყო უსახლკარო სტატუსის მაძიებელი პირის/ოჯახის წევრის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შემთხვევებით ან მესამე პირის მიერ დაფინანსებულ სასწავლო პროგრამებსა და კურსებში ჩართვის და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მიზნით სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთასთან, რაც დადასტურდება განმცხადებლის მიერ, შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენით.

ამ პროექტით გარკვეული ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის პროცედურაში, კერძოდ, აქამდე მოქმედი რედაქციის თანახმად, ყველა იმ პირისათვის ვინც რეგისტრირებული იყო უსახლკაროდ და წარმოადგენდა ერთსულიან ოჯახს, გარდა შშმ პირებისა შეეთავაზებოდა თავშესაფარი , ახალი რედაქციით ეს გამონაკლისი უქმდება და ყველა ერთსულიან ოჯახს მიუხედავად შშმ სტატუსისა შეეთავაზება თავშესაფარი.

წესში დეტალურად გაიწერა და ჩამოყალიბდა იმ ოჯახის ვალდებულებები, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთავრობის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდებიან საცხოვრისით, კერძოდ, ისინი ვალდებულნი არიან გააფორმონ შესაბამისი ხელშეკრულება ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალურ თავშესაფართან“ 2 (ორი) წლის ვადით.

დაზუსტდა და გაიწერა კომისიის მიერ თავშესაფრით უზრუნველყოფის შესახებ რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღების პროცედურული საკითხები, კერძოდ, მსგავს შემთხვევაში გადაწყვეტილებას ბრძანების სახით იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი, რომლის საფუძველზეც პირი თავშესაფრით კმაყოფილდება 18 (თვრამეტი) თვის ვადით.

წარმოდგენილი პროექტით დაკონკრეტდა იმ პირის/ოჯახის გადამოწმების წესი, რომლებიც დაკმაყოფილებულნი არიან თავშესაფრით/საცხოვრისით.

აღნიშნული პროექტის შესაბამისად, ასევე მოწესრიგდა ბენეფიციარისათვის საცხოვრისით/თავშესაფრით სარგებლობის უფლების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა. კერძოდ, კომისია საჭიროებისამებრ (მაგრამ, არაუგვიანეს საცხოვრისით დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 (ორი) წლისა) ამოწმებს, აკმაყოფილებს თუ არა ბენეფიციარი ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უსახლკაროდ რეგისტრაციის კრიტერიუმებს და გასცემს რეკომენდაციას პირისათვის/ოჯახისათვის ხელშეკრულების 2 (ორი) წლის ვადით გაგრძელების ან არ გაგრძელების შესახებ, რის საფუძველზეც გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა. რაც შეეხება თავშესაფრით დაკმაყოფილებული ბენეფიციარების გადამოწმების წესს, წარმოდგენილ პროექტის თანახმად, კომისია საჭიროებისამებრ (მაგრამ, არაუგვიანეს თავშესაფრით დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან თვრამეტი თვისა) ამოწმებს, აკმაყოფილებს თუ არა ბენეფიციარი ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უსახლკარო პირად რეგისტრაციის კრიტერიუმებს და გასცემს რეკომენდაციას ბენეფიციარისათვის თავშესაფარში განთავსების ვადის თვრამეტი თვით გაგრძელების ან ვადის არ გაგრძელების შესახებ, რის საფუძველზეც გადაწყვეტილებას იღებს და გამოსცემს შესაბამის ბრძანებას ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ დირექტორი.

წარმოდგენილი პროექტით ასევე დგინდება, თავშესაფრითა და საცხოვრისით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები. კერძოდ, საცხოვრისით სარგებლობის

შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს ბენეფიციარსა და ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარს“ შორის დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევა. ხოლო, ბენეფიციარისათვის თავშესაფრით სარგებლობის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს უსახლკარო პირის ხელწერილში გათვალიწინებული თავშესაფრით სარგებლობის პირობების დარღვევა . ასევე იცვლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციის შესახებ განაცხადის ფორმა, კერძოდ აქამდე არსებულ ფორმას ავსებდა ოჯახის ყველა წევრი ცალ-ცალკე, აღნიშნული პროექტით წარმოდგენილი ფორმა კი შეივსება ოჯახის ერთი წევრის მიერ და თითოეული წევრი ხელმოწერით დაადასტურებს შევსებული მონაცემების სისწორეს, ისინი ხელმოწერით ასევე დაადასტურებენ, რომ თანახმანი არიან, უსახლკაროდ რეგისტრაციასთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესით” გათვალისწინებული კრიტერიუმების გადამოწმების მიზნით, განხორციელდეს მათი ფინანსური, ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობის, პერსონალური და სხვა მონაცემების პერიოდული გადამოწმება ნებისმიერი კანონიერი წყაროდან.

<u>2019 წლის 1 მარტი</u>

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 62 820,0 ათასი ლარით და განისაზღვრა 1 063 101,8 ათასი ლარით. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების მიმართულებით გაიზარდა შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

დაავადებათა სკრინინგის (კოდი 06 01 02) ქვეპროგრამის მოცულობა გაიზარდა 450,0 ათასი ლარით;

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) გაიზარდა 30,0 ათასი ლარით;

სასწრაფო სამედიცინო დახმარების (კოდი 06 01 01) პროგრამას დაემატა 3 357,0 ათასი ლარი.

შემცირდა კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) 300,0 ათასი ლარით, რაც განპირობებულია ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში'' 200 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების რაოდენობის კლებით. ასევე შემცირდა

სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების ქვეპროგრამის (კოდი 06 02 25) დაფინანსება 30,0 ათასი ლარით, რაც განპირობებულია დადგეგმილთან შედარებით ნაკლები რაოდენობის ბენეფიციართა დაფიქსირებით.

<u>2019 წლის 7 მარტი</u>

ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის 2016-2018 წწ შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარდგენა.

მოწვეულმა სტუმარმა პრეზენტაციის სახით წარმოადგინა ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის 2016-2018 წწ. შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

მუნიციპალური თავშესაფრის 2016-2018 წწ. სამოქმედო გეგმის შესაბამისად შეიქმნა თავშესაფრის ადმინისტრაციაში შემავალი სამსახურების შიდა მომსახურების სტანდარტის დოკუმენტი. მომზადდა და დაინერგა შეფასების ინსტრუმენტები ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკებისათვის.

შეიქმნა თითოეული ბენეფიციარის პირადი საქმე. ბენეფიციართა შორის გამოიკვეთა მიზნობრივი ჯგუფები, შეფასებების შედეგად მოხდა საჭიროებების იდენტიფიცირება და თითოეული ბენეფიციარისათვის გაიწერა მომსახურების ინდივიდუალური გეგმა. შეიქმნა სხვადასხვა სარეაბილიტაციო ფსიქო-სოციალური, საგანმანათლებლო პროგრამები. მიმდინარეობს მუშაობა სპორტული, შემეცნებით-კულტურული აქტივობების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით. დაინერგა და ხორციელდება თემატური ტრენინგები. მომსახურების მიმღებთა რაოდენობა საანგარიშო პერიოდში შემდეგნაირად გადანაწილდა:

- 2016 წ. - 294 ბენეფიციარი;
- 2017 წ. - 219 ბენეფიციარი;
- 2018 წ. - 212 ბენეფიციარი.

საცხოვრისებში ხელშეკრულებით მცხოვრები უსახლკარო ოჯახები:

- ვარკეთილი - 43 ოჯახი (133 ბენეფიფიციარი);
- ორხევი - 23 ოჯახი (86 ბენეფიციარი);
- დიდი დიღომი-9 ოჯახი (38 ბენეფიციარი).

საცხოვრისებში ხელშეკრულების გარეშე მცხოვრები ოჯახები:

- ვარკეთილი - 9 ოჯახი (28 მაცხოვრებელი);
- დიდი დიღომი -15 ოჯახი (43 მაცხოვრებელი).

თავშესაფრის ძირითადი პერმანენტული სერვისებია:

ინდივიდუალური და ჯგუფური შეფასება და შემთხვევების მართვა, ინდივიდუალური ფსიქო-სოციალური სესიები, შრომითი თერაპია, ჯგუფური თერაპიული შეხვედრები ფსიქო-კორექციის მიზნით, ინდივიდუალური და ჯგუფური თერაპიული შეხვედრები ემოციური განმუხტვის მიზნით. 2016-2018 წწ. განმავლობაში, თავშესაფრის ბენეფიციარებს, დღეში ორჯერადი კვების გათვალისწინებით, 2209-ჯერ მიეწოდათ 265 026 ბენეფიციარზე გათვლილი 380 385,02 ლარის ღირებულების საკვები. ლილოს მიუსაფართა თავშესაფარსა და სოციალურ საცხოვრისებში (დიდი დიღომი, ვარკეთილი, ორხევი) თვეში ერთხელ (ან/და საჭიროებისამებრ) ტარდება სანიტარული მომსახურება, კერძოდ დეზინფექცია, დეზინსექცია და დერატიზაცია (2017-2018 წწ. - 7820 ლარი).

<u>2019 წლის 19 აპრილი</u>

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ .

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შევიდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტით შეიცვალა დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესის (დანართი N1) მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, 2019 წლის პირველი აპრილიდან წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელი თითოეული მომსახურების ფარგლებში ვალდებულია ყოველთვიურად მომსახურება გაუწიოს არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) მოსარგებლისა, ხოლო „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ყოველთვიურად მომსახურება გაუწიოს არაუმეტეს 150 (ას ორმოცდაათი) მოსარგებლეს,

ნაცვლად არაუმეტეს 100 (ასი) მოსარგებლისა, გარდა მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის შემმოწმებელი დაწესებულებისა.

წარმოდგენილი პროექტით ასევე ცვლილება შევიდა „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის (დანართი №5) მე-4 მუხლის, მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმადაც დადგინდა, რომ ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსება საქართველოში ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის/თანხმობის წერილის მეშვეობით. ნაცვლად, დაფინანსების აქამდე არსებული ზღვრული ოდენობის-არაუმეტეს დადგენილი ტარიფის 50%-ისა, დგინდება არაუმეტეს 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარის ოდენობა, ხოლო პაციენტის თანაგადახდა განისაზღვრება დადგენილი ტარიფის არაუმეტეს 50%-ის ნაცვლად , არაუმეტეს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარით.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ბირბიჩაძემ დადებითად შეაფასა წარმოდგენილი ცვლილებები და გამოთქვა სურვილი რომ, ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამებს დაემატოს ,,გაფანტული სკლეროზით'' და ,,კოქსართროზით'' დაავადებულთა მკურნალობის ქვეპროგრამა. გელა ჩივიაშვილმა გამოთქვა მზაობა, რომ აღნიშნული საკითხი განსახილველად დადგება დღის წესრიგში.

<u>2019 წლის 14 მაისი</u>

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შევიდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში, კერძოდ, შეიცვალა ამ დადგენილების პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართის „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის” მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. მოქმედი წესის მიხედვით კუმულაციურად საჭირო იყო რამდენიმე პირობა იმისათვის, რომ განხორციელებულიყო დაფინანსება, წარმოდგენილი პროექტით კი ერთ-ერთი პირობის არსებობა საკმარისია დაფინანსებისათვის („და“ კავშირი იცვლება „ან/და“ კავშირით), ამასთან ემატება ჩვენება - სიმსივნური კვანძის 2სმ-ზე მეტის ქონა.

წარმოდგენილი ცვლილების შესაბამისად მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

,,ა) HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ძუძს კიბოს დიაგნოზის ან რადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივების შემთხვევაში-ტრასტუზუმაბი; სიმსივნური კვანძის >2სმ-ზე ან/და ჰორმონუარყოფითი (ER/PR-negative) ან/და დადებითი ნოდალური სტატუსის (N+) შემთხვევაში პრესტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი (პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი უფინანასდებათ 2019 წლის 1 იანვრიდან ჩართულ მოსარგებლეებს);“

<u>2019 წლის 24 მაისი</u>

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ .

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შევიდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში, კერძოდ: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04 01) გაიზარდა 210,0 ათასი ლარით, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 20 01) გაიზარდა 189,0 ათასი ლარით, ხოლო, სასწრაფო სამედიცინო დახმარება (კოდი 06 01 01) შემცირდა 22,9 ათასი ლარით.

<u>2019 წლის 7 ივნისი</u>

18 წელს მიღწეული მზრუნველობამოკლებული სტატუსის მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაცის ხელშეწყობა (ინიციატივა).

წარმოდგენილი ინიციატივა მიზნად ისახავს 18 წელს მიღწეული მზრუნველობამოკლებული სტატუსის მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ზრუნვის სერვისების მიმღებთათვის.

ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა მოიცავს სხვადასხვა კომპონენეტს, მათ შორის მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამას, რომელიც

ითვალისწინებს თავშესაფრით უზრუნველყოფის ღონისძიებებს, ასევე, მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის მცირე საოჯახო ტიპის სახლების მომსახურებას და მინდობით აღზრდას. ზემოთხსენებული ქვეპროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ 18 წლამდე ასაკის მიუსაფარ ბავშვებს. მინდობით აღსაზრდელს, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი და არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის მოსწავლე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტი ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, შეუძლია მინდობით აღზრდის მიზნით განთავსებული იყოს სწავლის დასრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 21 წლის ასაკის მიღწევისა.

მომხსენებელმა მარინე შაღაშვილმა მოკლედ მიმოიხილა ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა და დასძინა რომ 18 წელს მიღწეული მზრუნველობამოკლებული სტატუსის მქონე პირები რომლებიც არ არიან რომელიმე საგანმანათლებელო დაწესებულების სტუდენტები, ავტომატურად ეთიშებიან სახელმწიფო მრზუნველობის პროგრამას, რაც აფერხებს საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას. გარდა ამისა, მათ თავის სარჩენად უწევთ დაბალანაზღაურებად სამსახურში მუშაობა, ვერ იღებენ უმაღლეს ან პროფესიულ განათლებას რაც ზრდის მომავალში მათი სოციალურად დაუცველობის რისკს. ინიციატივა მდგომარეობს იმაში, რომ 18 წელს მიღწეულ მზრუნველობამოკლებული სტატუსის მქონე პირებს 21 წლამდე გაეწიოთ ფინანსური დახმარება ან უზრუნველყოფილი იქნან დროებითი საცხოვრებელი ფართით.

2019 <u>წლის 25 ივნისი</u>

1. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

2. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შევიდა „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა" მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში, კერძოდ, ამ დადგენილების მეორე მუხლის პირველ პუნქტს ემატება შემდეგი შინაარსის „ნ" ქვეპუნქტი: „ნ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის" თანამშრომლებს." (შემდგომში - ცენტრი).

აღნიშნული ცვლილებით, ცენტრის თანამშრომლებს საშუალება ეძლევათ, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ისარგებლონ უფასო მგზავრობის უფლებით.

ასევე ცვლილება შევიდა „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში, კერძოდ, ამ დადგენილების მე-5 მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის „ზ[1]" ქვეპუნქტი: „ზ[1]) პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტით დადგენილი კატეგორიის მქონე პირებთან დაკავშირებით - ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალურ ცენტრს.“.

აღნიშნული ცვლილებითა(ა)იპ „თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის“ (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომლებს საშუალება ეძლევათ, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ისარგებლონ უფასო მგზავრობის უფლებით და ამასთან განისაზღვრება ის სუბიექტი, რომელიც უზრუნველყოფს ცენტრის თანამშრომლებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას.

<u>2019 წლის 23 ივლისი</u>

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შევიდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში, კერძოდ, შეიცვალა ამ დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“. მოქმედი წესის მიხედვით ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან 2-დან 15 წლის ასაკის ჩათვლით პირები, ხოლო წარმოდგენილი პროექტით ქვეპროგრამაში მოსარგებლეები იქნებიან 2-დან 17 წლის ასაკის ჩათვლით ასაკის პირები, შესაბამისად მოსარგებლეთა წრე უფრო გაფართოვდა. ამასთან, სეანსების რაოდენობა გადანაწილდა 17 წლის ასაკის ჩათვლით. 12-17 წლის ასაკის ჩათვლით ჩასატარებელი სეანსების რაოდენობა განისაზღვრება მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე. ასაკობრივ ჯგუფში მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განსაზღვრული წლიური გეგმის ფარგლებში, თვეში ერთხელ შესაძლებელია თითო შეხვედრის/სეანსის ჩატარება მშობელთან/მეურვესთან. ასევე ქვეპროგრამის მომსახურების მიმწოდებლისათვის დადგენილ დამატებით პირობებს დაემატა მოთხოვნა,

რომ ჰქონდეს შესაბამისი მომსახურების მულტიდისციპლინური გუნდის – მშობელი/მეურვე (საჭიროების შემთხვევაში, 12-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში) და სხვა – ჩართულობით უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

კომისიაზე საკითხის წარმომდგენმა ითხოვა:

ა) „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წეს“-ს დაემატოს პირები, რომლებიც ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, შესაბამისი დაწესებულებისათვის განცხადებით მიმართვის დროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არიან რეგისტრირებული და განცხადებით მიმართვამდე პერიოდში არცერთხელს არ ყოფილან რეგისტრირებული საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტში და მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან, დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F84.0; F84.9) დიაგნოზის მქონე 2-დან 17 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც:

ა) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენენ ქვეპროგრამის ბენეფიციარებს, მიუხედავად წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დიაგნოზისა;

ბ) ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, შესაბამისი დაწესებულებისათვის განცხადებით მიმართვამდე პერიოდში იყვნენ რეგისტრირებული საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტში, მაგრამ განცხადებით მიმართვამდე ბოლო 3 წლის (2 წლის ასაკის ბავშვის შემთხვევაში – ბოლო 2 წლის) განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არიან რეგისტრირებულნი

გ) ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, შესაბამისი დაწესებულებისათვის განცხადებით მიმართვის დროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, თუ ისინი განცხადებით მიმართვამდე პერიოდში არცერთხელს არ ყოფილან რეგისტრირებული საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტში;

დ) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი თბილისი და აკმაყოფილებენ ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.“;

ასევე,

ბ) შევიდა ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილების პირველი მუხლის:

„ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ (დანართი №1) მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„გ) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების განმახორციელებელია 2018 წელს მიმწოდებლად რეგისტრირებული დაწესებულებები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ წესის ამოქმედებამდე მოქმედ რეგულაციებს.“

<u>2019 წლის 8 აგვისტო</u>

ეროვნული სკრინინგ ცენტრის მიერ ახალი მეთოდოლოგიების დაგეგმვისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

ეროვნული სკრინინგ ცენტრის დირექტორმა, ეთერ კიღურაძემ, თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე, 2019 წელს ცენტრის მიერ განხორცილებული ღონისძიებების შესახებ ისაუბრა და სამომავლო საქმიანობის პრეზენტაცია წარადგინა.

პრეზენტაციაზე, სკრინინგ ცენტრის დირექტორმა დეტალურად მიმოიხილა ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის თანამედროვე მოდელებზე გადასვლის პროცესი, სკრინინგ ცენტრის ფილიალების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ახალი სამედიცინო ტექნიკური ბაზით აღჭურვის შესაძლებლობები და ის სამომავლო გეგმები და პერსპექტივები, რაც სკრინინგ პროგრამას თვისობრივად ახალ საფეხურზე გადაიყვანს.

ეთერ კიღურაძემ ასევე, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მომართვიანობის კუთხით ეროვნული სკრინინგ ცენტრის სტატისტიკაზე და აღნიშნა, რომ 2019 წელს თუ შევადარებთ სკრინინგის ათწლიანი მუშაობის მანძილზე დაფიქსირებულ მომართვიანობის მხრივ ყველაზე მაღალ მაჩვენებელს, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი მოსახლეობის ჩართულობა. მიუხედავად საიმედო დინამიკისა, სკრინინგიში ჩართული მოსახლეობის მოცვის გაზრდა, სკრინინგ პროგრამის მთავარ გამოწვევად რჩება. მისივე თქმით,

საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების მიხედვით, სკრინინგის პროგრამის წარმატება დამოკიდებულია სამიზნე მოსახლეობის პროგრამაში ჩართულობაზე (მოცვა უნდა აღემატებოდეს 60%-70%-ს). მხოლოდ სკრინინგის პროგრამების მნიშვნელობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებითა და ორგანიზებული სკრინინგის დანერგვით არის შესაძლებელი საზოგადოების ფართო მასებამდე ინფორმაციის მიტანა და შესაბამისად, მოცვის გაზრდა. აქედან გამომდინარე, მიმდინარეობს აქტიური საინფორმაციო კამპანია, რომელიც მიმართულია საზოგადოებაში სკრინინგის ჩატარების კულტურის ჩამოყალიბებაზე, მოქალაქეებში საკუთარი და ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მიმართ სოციალური პასუხისმგებლობის გაჩენისაკენ.

„ეროვნული სკრინინგ ცენტრი მუდმივად ზრუნავს როგორც სკრინინგის პროგრამის განვითარებაზე, აგრეთვე, სამედიცინო სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებაზე, რაც გულისხმობს როგორც უახლესი სამედიცინო აპარატურით აღჭურვილობას, ასევე, სამედიცინო და ადმინისტრაციული პერსონალის მუდმივ გადამზადებასა და ფილიალების კეთილმოწყობას. ყველაფერი აღნიშნული, საბოლოო ჯამში საშუალებას მისცემს ჩვენს მოქალაქეებს სრულიად უფასოდ ისარგებლონ მაღალ-კვალიფიციური სამედიცინო მომსახურებით და ასევე, სამომავლოდ დაგეგმილია იმ უახლესი მეთოდების გამოყენება, რომლის მისაღებად ხშირ შემთხვევაში საზღვარგარეთ უწევთ წასვლა“ , - განაცხადა ეთერ კიღურაძემ.

კომისიის წევრები მიმდინარე საინფორმაციო კამპანიით დაინტერესდნენ და იმ ძალისხმევით, რაც საზოგადოებაში სკრინინგის შესახებ ცნობიერების ამაღლებას უკავშირდება. ასევე, პრეზენტაციაზე არსებული გამოწვევების საპასუხოდ, სკრინინგ პროგრამის განვითარების პერსპექტივებზე იმსჯელეს.

2019 წლის 16 აგვისტო

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ''

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შევიდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების

წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში. კერძოდ, ცვლილება შევიდა დადგენილების პირველი მუხლის „ე“ პუნქტით დამტკიცებული „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის” (დანართი №5) მე-2 მუხლის პირველ პუნქტში, რომელიც განსაზღვრავს ქვეპროგრამის მოსარგებლე პირთა წრეს. ცვლილების შედეგად, ქვეპროგრამის მოსარგებლეები ასევე შეიძლება იყვნენ ის პირები, რომელთაც ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში.

2019 <u>წლის 13 სექტემბერი</u>

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. კერძოდ: „C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ ცვლილების შეტანის შესახებ.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის №15-49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შევიდა „C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“.

„C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებაში, 2019 წლის 2 აგვისტოს N356 დადგენილებით შეტანილი ცვლილების მიხედვით, სრულად ფინანსდებიან 2019 წლის 1 აგვისტოდან ჩართული ბენეფიციარები, ასევე ის პირები, რომლებიც 1 აგვისტოდან სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებას შეიცვლის „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ დანართი N2-ის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ ეტაპებზე“. ხოლო წარმოდგენილი პროექტით, 2019 წლის 1 აგვისტომდე ჩართულ ბენეფიციარებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური დააფინანსებს მომსახურების ღირებულების 30%-ით, გარდა იმ პირებისა, რომლებმაც 2019 წლის 1 აგვისტოდან შეიცვალეს სერვისის მიმწოდებელი დაწესებულება „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“დანართი N2-ის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ ეტაპებზე“.

ამასთან, ამოღებულ იქნა მე-7 მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია ტარიფები და პირდაპირ მიეთითა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამით“ დადგენილი ტარიფები („C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილება).

ასევე, ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის №15-49 დადგენილებაში, კერძოდ, იცვლება ამ დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 09) განხორციელების წესის“ მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი და მე-7 მუხლი. მე-3 მუხლის მე-6 პუნქტში სწორდება ტერმინი, კერძოდ, „საზღვარგარეთის“ ნაცვლად ეთითება „საქართველოს ფარგლებს გარეთ“. მე-7 მუხლში, საქართველოს ფარგლებს გარეთ დაფინანსების შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება ხდება საგარანტიო წერილის ფორმით, რომელიც კლინიკისათვის წარმოადგენს საფუძველს, რომ მომსახურების გაწევის შემთხვევაში მოხდება მისი ანაზღაურება. საქართველოს ფარგლებს გარეთ დაფინანსების შემთხვევაში, მოსარგებლე/მისი კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია სამედიცინო დაწესებულებიდან უზრუნველყოს გაწეული სამედიცინო მომსახურების შესახებ შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. ამასთან, საქართველოს ფარგლებს გარეთ, სამედიცინო ან სხვა მიმწოდებელ დაწესებულებაში თანხის გადარიცხვა ხორციელდება მოსარგებლე პირის მიერ შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ. ამავე მუხლში გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევაც, როდესაც საქართველოს ფარგლებს გარეთ, სამედიცინო ან სხვა მიმწოდებელი დაწესებულება, საგარანტიო წერილის საფუძველზე, უარს აცხადებს მომსახურების გაწევაზე, ამ შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია დაფინანსება განახორციელოს წესის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის და სამგზავრო ბილეთის

წარმოდგენის და ფორმა N1-ის შევსების საფუძველზე. სამგზავრო ბილეთების წარმოდგენა არ არის აუცილებელი იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარგებლე პირი, განცხადების განხილვის მომენტისათვის, სამკურნალოდ იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ბ)სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), რომელიც გაცემული უნდა იყოს მერიაში განცხადების რეგისტრაციის თარიღამდე არაუმეტეს 3 თვით ადრე;

გ) მიმწოდებლის მიერ გაცემული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი (კალკულაცია), რომელიც გაცემული უნდა იყოს მერიაში დაფინანსების მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღამდე არაუმეტეს 3 თვით ადრე;

დ) იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი იმყოფება საქართველოში, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოს/პირის (სამედიცინო მომსახურების შემთხვევაში შესაბამისი პროფილის ექიმი/კონსილიუმი) დასკვნა იმის თაობაზე, რომ აღნიშნული სერვისის მიღება პირს არ შეუძლია საქართველოში, სერვისის საქართველოში არარსებობის გამო ან/და პირისათვის სერვისის/საჭიროების მიღება რეკომენდებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ;

ე) თუ პაციენტი უკვე იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ, მიმწოდებელი დაწესებულებიდან დასკვნა მომსახურების/საჭიროების მიღების აუცილებლობის თაობაზე.“

<u>2019 წლის 17 ოქტომბერი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხილვა.

<u>სხვა აქტივობები</u>

28 დეკემბერი - არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში საახალწლო ღონისძიება გაიმართა. კომისიის თავმჯდომარე დაწესებულებას საკრებულოს დეპუტატებთან, აპარატის თანამშრომლებთან და სპორტსმენებთან ერთად ესტუმრა.



31 დეკემბერი - თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ბირბიჩაძემ ახალი წელი სსიპ "სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" თანამშრომლებს მიულოცა.

გიორგი ბირბიჩაძე ვაკის რაიონში, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილზე მდებარე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მე-12 რაიონულ ფილიალსა და ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე მესამე რაიონულ ფილიალს ეწვია და სასწრაფო დახმარების ცენტრის თანამშრომლებს, ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ ირაკლი ბერეკაშვილთან ერთად შეხვდა.

26 თებერვალი - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ბირბიჩაძემ, წარმომადგენლობითი ორგანოს სხვა წევრებთან ერთად, ა(ა)იპ „თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრი“-ს 2018 წლის ანგარიში მოისმინა.

ანგარიში დეპუტატებს ცენტრის ხელმძღვანელმა ციცო დილებაშვილმა წარმოუდგინა.

ციცო დილებაშვილმა 2018 წლის მონაცემებით, გადამდებ, მათ შორის, მართვად დაავადებათა ეპიდზედამხედველობის და კონტროლის ღონისძიებებზე, ბავშვთა სავალდებულო პროფკავშირებზე და აგრეთვე ეპიდჩვენებითი აცრების თაობაზე დეტალურად ისაუბრა.

მანვე „თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის“ მუშაობის სპეციფიკაზე, პრინციპებსა და მიზნებზე გაამახვილა ყურადღება და სამომავლო გეგმების თაობაზე საკუთარი ხედვები წარმოადგინა.

19 მარტი - თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი ბირბიჩაძის ინიციატივით, საკრებულოსა და "ავერსი-ფარმა"-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმის ფარგლებში, თბილისში რეგისტრირებულ იმ მოქალაქეებს, რომლებიც მერიას და რაიონულ გამგეობებს მედიკამენტების შეძენისთვის დახმარების თხოვნით მიმართავენ, „ავერსი ფარმა" წამლებს შეღავათიან, ფასდაკლების დღეებში არსებული ფასებით მისცემს.

2 აპრილი - თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე აუტიზმის ეროვნული ცენტრის მშენებლობის პროექტის პრეზენტაციას დაესწრო.

ღონისძიებაზე სიტყვით საქართველოს პრემიერ მინისტრი მამუკა ბახტაძე და თბილისის მერი კახა კალაძე გამოვიდნენ. მშენებლობა აუტიზმის კვლევისა და ხელშეწყობის ფონდის ინიციატივით იწყება და რეგიონული მნიშვნელობის იქნება, რომელსაც ანალოგი არ აქვს.

აუტიზმის ეროვნული ცენტრი 16 წელს ზემოთ აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდებს მოემსახურება. კომპლექსის მნიშვნელოვანი კომპონენტი სოციალური წარმოებაა, რომელიც აუტიზმის მქონე მოზარდ და ზრდასრულ ადამიანებს სამუშაო უნარ-ჩვევების შეძენაში და შემდგომ დასაქმებაში დაეხმარება.

15 აპრილი - თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე შეუერთდა მოძრაობას "საქართველო თამბაქოს კვამლის გარეშე"

16 აპრილი - თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი ბირბიჩაძის ინიციატივით შპს „თბილსერვისჯგუფის“ თანამშრომლებს c ჰეპატიტზე და შეძენილი იმუნოდეფიციტის(შიდსის) სინდრომზე უფასო სკრინინგი ჩაუტარდათ.

თბილსერვისჯგუფში“ გამართულ სკრინინგის აქციაში ათეულობით ადამიანი ჩაერთო. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სპეციალისტთა ჯგუფები კვლევებს მთელი დღის განმავლობაში ატარებდა.

18 აპრილი - თბილისის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი ბირბიჩაძის ინიციატივით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარ წევრებსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელ პირებთან და თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე უძღვებოდა. სხდომაზე სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილემ ლევან გოგოძემ სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მეთოდოლოგია და მისი ადმინისტრირების პროცესი დეტალურად განიხილა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

5 ივლისი - თბილისის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ბირბიჩაძემ და კომისიის წევრებმა, 2018 წელს ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელებისა და მიმდინარეობის შესახებ ანგარიში მოისმინეს.

შეხვედრაზე პროგრამის ფუნქციონირების შესახებ ისაუბრეს და დეტალურად განიხილეს ქვეპროგრამის შემადგენელ კომპონენტებთან დაკავშირებული საკითხები. ასევე იმსჯელეს საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები და კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში მუშაობის გაგრძელებაზე შეთანხმდნენ.

9 ივლისი - თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ტყემალაძისა და ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის ხელმძღვანელის გიორგი ბირბიჩაძის ინიციატივით, დედაქალაქის დამსახურებული და ღვაწლმოსილი ექიმები დაჯილდოვდნენ.

თბილისის საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში გამართულ დაჯილდოების ცერემონიას 80-დან 100 წლამდე ასაკის 90-მდე დამსახურებული მედიკოსი ესწრებოდა, რომელთაც გიორგი ტყემალაძემ და გიორგი ბირბიჩაძემ საპატიო სიგელები, დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

გიორგი ბირბიჩაძე - ქალაქ თბილსიის მუნიციპალიტეტის მერიის სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობის კომისიის წევრი.

2108 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ნოემბრამდე კომისიამ განიხილა და დახმარება გაუწია დაახლოებით 13732 ბენეფიციარს შემდეგი კლასიფიკაციით:

დაავადების კლასი	**დაკმაყოფილებლი მოთხოვნების რაოდენობა**
ინფექციური დაავადებები	89
სიმსივნეები	3449
კეთილთვისებიანი სიმსივნეები	779
ენდოკრინული სისტემის კვლევებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოვლენილი დაავადებები	340
ფსიქიკური და ქცევითი აშლილოებები	445
ნერვული სისტემის დაავადებები	789
თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	629
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	3636
სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	224
საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	485
ძვალ კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებები	1070
შარდ სასქესო სისტემის დაავადებები	539
ორსულობა მშობიარობა და ლოგინობის ხანა	13
თანდაყოლილი მანკები დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები	218
განვითარების ეტაპების დაყოვნება	475
დაზიანებები ტრავმები მოწამვლები	213
ყველა სხვა დაავადება	339

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის გიორგი ბირბიჩაძისა და მისი წარმომადგენლობის საქმიანობა სამაჟორიტარო რაიონში (ნუცუბიძის მიკრორაიონები, ვაჟა-ფშაველას კვარტლები)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ 2017 წლის 5 დეკემბრის N5-4 დადგენილების მე-15[1] მუხლის შესაბამისად, მაჟორიტარი საკრებულოს წევრის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საკრებულოს მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების ვადით შეიქმნა წარმომადგენლობა. წარმომადგენლობის ძირითადი ამოცანებია:

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზება;
- ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში საზოგადოების ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა;

წარმომადგელობა თავისი ამოცანების შესასრულებლად უზრუნველყოფს:

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მოქალაქეებთან შეხვედრების, მათ შორის, საჯარო შეხვედრების ორგანიზებას;
- მოქალაქეთა წერილების, საჩივრების, განცხადებების საქმისწარმოების ერთიან ელექტრონულ აღრიცხვას, შესწავლას;
- წარმომადგენლობაში შესული განცხადებების, წერილების ანალიზს და შესაბამის რეაგირებას;
- სათანადო დასკვნების, რეკომენდაციების ან/და წინადადებების მაჟორიტარი საკრებულოს წევრისთვის წარდგენას;
- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ხელშეწყობას საკანონმდებლო ან/და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, კერძო/საჯარო დაწესებულებებთან,

საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მედია საშუალებებთან ურთიერთობისას;

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ხელშეწყობას კანონის შესაბამისად ანგარიშის წარდგენაში;
- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის სამაჟორიტარო ოლქში არსებული პრობლემებისა და აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებაში ხელშეწყობას;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების /პრობლემების აღმოფხვრისა და გადაწყვეტისათვის მაჟორიტარის უფლებამოსილების ვადით შესაბამისი გეგმის შემუშავებაში ხელშეწყობას;
- წარმომადგენლობის საქმიანობისთვის საჭირო სხვა ფუნქციების განხორციელებას.

საკრებულოს მაჟორიტარი წევრი და მისი წარმომადგენლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობასთან ყოველდღიური მუშაობის რეჟიმშია. სამაჟორიტარო ტერიროტორიაზე ვრცელდება ვაკის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ორი საუბნო განყოფილების საქმიანობა. კერძოდ: ვაჟა ფშაველას ტერიტორიული ერთეულის და ნუცუბიძის ტერიტორიული ერთეულის.

თანამშრომლობს, როგორც ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან, ასევე სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან.

ქალაქ თბილისის საკრებულოს ვაკის რაიონის (ნუცუბიძის მიკრორაიონები, ვაჟა-ფშაველას კვარტლები) მაჟორიტარი დეპუტატი, გიორგი ბირბიჩაძისა და მისი წარმომდგენლობის მიერ დაგეგმილი გასვლითი შეხვედრები მოსახლეობასთან ან სხვადასხვა სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგისთვის ხორციელდება ასევე, არასამუშაო დღეებშიც.

მაჟორიტარი წევრის მიერ მოქალაქეთა მიღება ხდება სისტემატურად ყოველ ოთხშაბათ დღეს.

სამაჟორიტარო ოლქში იდენტიფიცირებული პრობლემები:

საკრებულოს მაჟორიტარი წევრის გიორგი ბირბიჩაძის მოალაქეებთან შეხვედრების, წარმომადგენლობაში მოსახლეობის მხრიდან შემოსული განცხადებების, ასევე წარმომადგენლობის თანამშრომლების მიერ ადგილზე მოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით, სამაჟორიტარო ოლქში გამოვლინდა პრობლემები სხვადასხვა მიმართულებებით, კერძოდ:

ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით:

- ჯანდაცვის სხვადასხვა პროგრამებით სარგებლობის საჭიროება
- მედიკამენტების დაფინანსების საჭიროება

სოციალური მიმართულებით:

- სხვადასხვა სახის სოციალური, მათ შორის ერთჯერადი ფინანსური დახმარების საჭიროება
- მოსახლეობის დასაქმება

ინფრასტრუქტურული მიმართულებით:

- გზების მშენებლობა
- სანიაღვრე ქსელების, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების გაუმართავი ფუნქციონირება
- გარე განათების ბოძების ნაკლებობა
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსებისათვის ურნების სიმცირე

ტრანსპორტის მიმართულებით:

- საზოგადოებრივი ტრანსპორტის არასაკმარისი რაოდენობა
- დაზიანებული გაჩერების ადგილების შეკეთება

ტერიტორიების გამწვანების და რეკრეაციის მიმართულებით:

- არსებული ბაღების და სკვერების კეთილმოწყობა
- ახალგაზრდებისათვის შესაბამისი დასასვენებელი, გამაჯანსაღებელი და სარეკრეაციო ადგილების შექმნა

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიმართულებით:

- ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობეში შეჭრილი მოსახლეობის ფართების დაკანონება
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშემწყობი პროგრამებით სარგებლობის საჭიროება

განხორციელებული აქტივობები:

მოქალაქეებთან კომუნიკაცია

საკრებულოს მაჟორიტარმა წევრმა - გიორგი ბირბიჩაძემ და მისმა წარმომადგენლობამ კონსულტაცია გაუწია 142 მოქალაქეს და საკრებულოს წევრის შუამდგომლობით მედიკამენტებსა და ოპერაციაზე შემოსული 77 განცხადებიდან დაკმაყოფილებულია 55. მოსახლეობის მოთხოვნით კონკრეტულ მისამართებზე განხორციელდა 16 შეხვედრა, რომელთა უმრავლესობა ვაკის რაიონის გამგეობის ბიუჯეტის გათვალისწინებით დაკმაყოფილებულია.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნვულყოფა

საკრებულოს მაჟორიტარი წევრი და მისი წარმომადგენლობა ჩართულია, სამაჟორიტარო ოლქში არსებული ორი სოციალურად დაუცველთა სასადილოს ფუნქციონირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების საკითხთა მოგვარებაში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის მიზნით მაჟორიტარი წევრის მიერ პერიოდულად მზადდება შუამდგომლობები და ეგზავნება ვაკის რაიონის გამგეობას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის უფლებამოსილ სამსახურს.

სამაჟორიტარო ოლქში დაფინანსებული ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები

დასახელება	ბენეფიციართა რაოდენობა
მკურნალობა/ოპერაციის დაფინანსება	1044
მედიკამენტების დაფინანსება	5768
ერთჯერადი ფულადი დახმარება	2269
საშენი მასალით დახმარება	109

სამაჟორიტარო ოლქში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების ზრდის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით



ინფრასტრუქტურა

საკრებულოს მაჟორიტარი წევრის გიორგი ბირბიჩაძის ქ. თბილისის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და ვაკის რაიონის გამგეობასთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად, სამაჟორიტარო ტერიტორიაზე შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურების მიერ განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა
- ✓ გზების და ქუჩების ორმოული შეკეთება
- ✓ სანიაღვრე ქსელის მოწყობა
- ✓ სკვერების რეაბილიტაცია, ახალი სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობა
- ✓ კიბეებისა და საყრდენი კედლების მოწყობა
- ✓ სავარჯიშო ტრენაჟორების მოწყობა

საყრდენი კედლები	
1	ნუცუბიძის III მკრ. I კვ. კორ.4 მიმდებარედ გრუნტის დამჭერი რკინა ბეტონის კედლის მოწყობა
სანიაღვრე ქსელი მოწყობა	
1	ქ.თბილის ვაკის რაიონი III მკრ. I კვ. კორპუსის 10-ის მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის მოწყობა
2	ქ.თბილის ვაკის რაიონი ფერმწერთა II ჩიხის ბოლოდან ფერმწერთა ქუჩამდე სანიაღვრე ქსელის მოწყობა
3	ქ.თბილის ვაკის რაიონი ქავთარაძის ქუჩა 25 სანიაღვრე ქსელის მოწყობა
არსებული და ახალი სკვერების რეაბილიტაცია მოწყობა	
1	ვაჟა ფშაველას IIIკვარტალში კორპუსი #10-16ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა
2	ვაჟა-ფშაველას 4 კვარტლის 1 კორპუსთან სკვერის მოწყობა
3	ნუცუბიძის 3 მკრ. 1კვ. 15 კორპუსთან სკვერის მოწყობა
4	ნუცუბიძის პლატო 2 მკრ. 4კვ. 1 კორპ. მიმდებარედ სკვერის მოწყობა
5	ნუცუბიძის პლატო მე-2 მკრ. მე-4 კვრ. 2 კორპ. მიმდებარედ სკვერის მოწყობა
6	ნუცუბიძის ფერდობი მე-5 მკრ. N 8 კორპ. სკვერის მოწყობა
7	პოლიტკოვსკაიას ქუჩა N 41 სკვერის მოწყობა
8	ვაჟა-ფშაველა I კვ. მე-3 კორპ. სკვერის მოწყობა
9	ნუცუბიძე მე-2 მკრ. მე-3 კვრ. კორპ. N 3 სკვერის მოწყობა
10	ალ. ყაზბეგი N 49 პროექტი(ნანტი)
11	გურიელის 5ა-ს მიმდებარედ სკვერის მოწყობა
12	ნუცუბიძის 5 მრ. 2 კორპუსის მიმდებარედ სკვერის მოწყობა
13	პოლიტკოვსკაიას 8ა-ს მიმდებარედ სკვერის მოწყობა
ახალი და არსებული სპორტული მოედნების მოწყობა	
1	ვაჟა ფშაველას გამზირი 1 კვ. კორპ. 3 მიმდებარედ არსებული სპორტული მოიედნის მოწყობა
2	ვაჟა ფშაველას VI კვ. კორპ. მიმდებარედ სპორტული მოედნის მოწყობა და ტერიოტირიის კეთილმოწყობა
კიბის და მოაჯირის მოწყობა	

1	ნუცუბიძის 4 მკრ. 5-6 კორპუსთან მისასვლელი კიბის მოწყობა
2	ნუცუბიძის 4 მკრ. 1 კორპ. გაჩერებასთან ჩამავალი კიბის მოწყობა
ფიტნეს ტრენაჟორების მოწყობა	
1	ვაჟა-ფშაველას 6კვ 15 კორპ
2	ნუცუბიძის 4მ/რ 34 კორპ
3	ნუცუბიძის 3მ/რ 4კვ 3 კორპ
4	ყაზბეგის გამზირი N 47
5	ნუცუბიძის მე-4 მ/რ N 24 კორპ
6	ვაჟა-ფშაველას მე-4 კვ კორპ N5 ის მიმდებარედ
7	ნუცუბიძის მე-3 კვ მე-3 მ/რ კორპ 6
8	ნუცუბუძის მე-4 მ/რ კორპ N 34
9	ნუცუბიძის მე-4-ე მიკრო კორპ 15
10	ნუცუბიძის 2 მიკრო 3 კვ კორპ N4
11	ვაჟა-ფშაველას 6კვ კორპ 5-ბ

საგზაო ინფრასტრუქტურა

N	მისამართი	კვ.მ
1	ვაჟა ფშაველას 71, 85 ბაგა-ბაღი	1,294
2	ვაჟა-ფშაველას 49, 83-ე ბაგა-ბაღი	1,499
3	ნუცუბიძის 5 მ/რ 201 ბაგა-ბაღი	1,506
4	ნუცუბიძის 2 მ/რ 2კვ. ჟღენტის 2 გ	1,473
5	ნუცუბიძის 4 მ/რ 6 კორპ.	407
6	შავიშვილის ქ. 27-ე ბაგა ბაღი	2,837
7	ნუცუბიძის 1 მ/რ ბედიას ქ.4	1,171
8	ვაჟა ფშაველას 7კვ. ნ13 მიმდებარედ	752
9	ნუცუბიძის 3 მკრ 1 კვ ნ9 და 10 კორპუსები	2,258
10	ფერმწერთა ქუჩა N 141	1,555
11	მხატვრების ქუჩა	-
12	ქავთარაძის ნ34	829
13	ყაზბეგის 32 ბ	1,287
14	ნუცუბიძის პლატო II მკრ. მე-3 კვრტ. მე-5 კორპ.ეზო	723
15	თოფურიას ქ. 41 საბავშვო ბაღის ეზო	203

16	ნუცუბიძის 4 მრ. 4 კორპუსი	615
17	ფერწერთა ქუჩა 109 ათასწლეულის სკოლის მიმდებარედ	767
	ჯამი	**19,174**
	გზებისა და ქუჩების ორმოული შეკეთება	-
1	ვაჟა ფშაველას 1 კვარტალი 3-4-5-7 კორპ მიმდებარედ	156
2	ნუცუბიძის მე-4 მ/რ პ.დათუაშვილის და კაპანელის ქუჩის კვეთა	634
3	ვაჟა ფშაველას 4 კვარტალი 10-11-12-15 კორპ მიმდებარედ	2,000
4	ვაჟა ფშაველას 4 კვარტალი 13 კორპ მიმდებარედ	25
5	ნუცუბიძის 4 მ/რ 20 კორპუსიდან 102 სკოლამდე მისასვლელი გზა	5,200
	ჯამი	**8,014**
	სულ ჯამი	**27,188**

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა - სამაჟორიტარო ოლქში დაფინანსებული პროექტები.

სამაჟორიტარო ტერიტორიაზე 505 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობაა დარეგისტრირებული. ამხანაგობების განვითარების და ხელშეწყობის მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობამ ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების ფარგლებში სამაჟორიტარო ტერიტორიაზე განახორციელა სხვადსხვა პროექტები, მათ შორის როგორიცაა: სახურავის, წყალსაწრეტის, ლიფტის, შიდა წყალკანალიზაციის, სადარბაზოს, ნაპრალებისა და კიბეების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სახეობა	**რაოდენობა**
წყალ-კანალიზაციის მოწყობა	10
სადარბაზოს რეაბილიტაცია	8
სადარბაზოს კარი	1
კიბეების მოწყობა	5
სახურავი	19
წყალსაწრეტი	10
ნაპრალები	6
ლიფტი	18

2019 წლის 28 თებერვალი

სამაჟორიტარო უბნებში, ვაჟა ფშაველასა და ნუცუბიძეზე არსებულ საბავშო ბაგა-ბაღებში მაჟორიტარი რეგულარულად ახორციელებს შემოვლით პროგრამებს; რაც გულისხმობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებულ ან წარმოქმნილ პრობლემებზე რეაგირებას, ადგილზე გაცნობას, შესწავლასა და შემდგომ შეძლებისდაგვარად აღმოფხვრას.

ნუცუბიძის ფერდობზე IV მ/რ-ში მდებარე ახლად გახსნილ #44-ე საჯარო ბაგა-ბაღს ესტუმრა და მათ სასწავლო-სააღმრზდელო პროგრამას გაეცნო.

2019 წლის 9 მაისი

გიორგი ბირბიჩაძემ სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრებ ომის ვეტერანებს 95 წლის მარიამ მინასაშვილს და 85 წლის ვახტანგ ბაბუნიძეს სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისთვის მადლობა გადაუხადა, სადღესასწაულო ნობათი გადასცა და ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცა.

2019 წლის 7 აგვისტო

თბილისის საკრებულოს ვაკის რაიონის (ნუცუბიძის ფერდობი, ვაჟა-ფშაველას კვარტლები) მაჟორიტარი წევრი გიორგი ბირბიჩაძემ დედაქალაქის მერთან ერთად ვაჟა-ფშაველას გამზირზე მეტროს შახტის გადახურვის სამუშაოები მოინახულა.

პროექტის ფარგლებში დემონტაჟი ჩაუტარდა ობიექტზე არსებულ უფუნქციო შენობა-ნაგებობებს და ლითონის ღობეს, რეაბილიტირდა გზის სავალი ნაწილი, მოეწყო გზის გამყოფი ზოლი მოაჯირებით, ბორდიურები და ტროტუარები, შეიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები და გარეგანათების ქსელი.

2019 წლის 21 სექტემბერი

ვაჟა-ფშაველას I კვარტლის III კორპუსის მიმდებარედ საკალათბურთო მოედნისა და სკვერის რეაბილიტაცია დასრულდა.

სამუშაოების შედეგად, ტერიტორიაზე განახლდა სპორტული მოედნის საფარი, გულშემატკივრების ტრიბუნები და სხვა შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ასევე, მოიხატა სტადიონის მიმდებარედ არსებული კედელი.

გარდა ამისა, ამავე ტერიტორიაზე არსებულ სკვერში დამონტაჟდა ახალი საპარკე ინფრასტრუქტურა - ურბანული ავეჯი, მოეწყო საბავშვო-გასართობი მოედანი, განათებისა და სარწყავი სისტემები, ასევე ფეხით სავალი ბილიკები.

სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას დასასვენებელი სივრცე გამწვანდა - დაირგო მცენარეები.

ვაჟა-ფშაველას პირველი კვარტლის მცხოვრებლებს თბილისის საკრებულოს ვაკის რაიონის (ნუცუბიძის ფერდობი, ვაჟა-ფშაველას კვარტლები) მაჟორიტარი წევრი გიორგი ბირბიჩაძე შეხვდა.

გიორგი ბირბიჩაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი

2018 წლის ნოემბრიდან დღემდე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიურლი საქართველოს“ მიერ 21 სხდომა ჩატარდა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რაოდენობა - 24, გიორგი ბირბიჩაძე დაესწრო 15 სხდომას და განიხილა 20 საკითხი.

თარიღი	**საკითხი**
5.12. 2018	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ“.
6.12.2018	თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში საკრებულოს უმრავლესობის შენიშვნებისა და რეკომენდაციების თბილისის მერის მოადგილეებთან განხილვა.
24.12.2018	„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 დეკემბრის სხდომის პროცედურების შესახებ“.
24.01.2019	„თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.01.2019 სხდომის დღის წესრიგის საკითხების განხილვის შესახებ“
21.02.2019	.„ფრაქცია ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-ს სამომავლო გეგმების შესახებ“
28.02.2019	„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და სამშენებლო რეგულაციების შესახებ“.
14.03.2019	„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის შესახებ“.
28.03.2019	„ქ.თბილისის მასშტაბით მუნიციპალური ქონების მართვის მიმართულებით არსებული პრობლემების შესახებ“
23.04.2019	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე თარაშ შურღაიას წარდგენასთან დაკავშირებით“.

23.05.2019	„ქ. თბილისის ბაგა-ბაღების სურსათით მომარაგებასის შესახებ“
24.06.2019	„მიმდინარე მოვლენების შესახებ“
25.07.2019	„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარე მოვლენების შესახებ“
15.08.2019	„ ქ. თბილისის საკრებულოში სხვადასხვა თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატურების წარუდგენის შესახებ“
27.09.2019	• „ქ. თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მდივნის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატურის წარდგენის შესახებ“ • „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმირების შესახებ''
03.10.2019	ქ. თბილისის საკრებულოში თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განსახილველად ფრაქციის “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო” მიერ განსახორციელებელი მოსამზადებელი სამუშაოების დაგეგმვა
25.10.2019	• „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ მოქალაქეების ინფორმირება“ • „მუნიციპალური ტრანსპორტის კონკრეტული მარშრუტის ცვლილების შესახებ” • „ 2019 წლის 26 ოქტომბრის საქველმოქმედო აქცია-კონცერტის შესახებ“